

# ବ୍ୟାକାରୀଶ୍ଵର

ସାହେବଙ୍କୁ ଶଶିଳାଲ

ବୋଲିବାର ମାର୍ଗ



ମ୍ୟାର୍କ ପ୍ରକାଶକାନ୍ତାତ୍ମକ

№ XVIII

ସେପଟେମ୍ବର

1906

---

ପ୍ରକାଶକ

ଅଲ୍ୟାପର୍ମାମିଶ୍ରପଦାର୍ଥ ଏମ୍‌ „ମରମା“, ମିଶାମିଲାର୍ଯ୍ୟିଲ୍ ଫ୍ରିଂ ନଂ 65  
1906

## შინაგანი:

1. ჯიხვი.—ლექსი აქადემია . . . . .	3
2. ბუმბუმი.—(თარგმანი) თ. ღომაურია . . . . .	6
3. ოქროს ქათამი.—(ხალხ. ზღაპარი), გაგრძელება დათ. კილოსანიძის. . . . .	13
4. გეოგრაფიული ცნობანი.—(თარგმანი ინგლისურით) გაგრძელება . . . . .	21
5. გასართობი.— . . . . .	24



## ჯ ი ს ი



დდის შეიღი ღრუბელს იმოსავს,  
დიდი და მაღალ-რქიანი;  
ნაპრალზე გადაეჭვია,  
უკარის ქლდეებზე ქანი.

—  
მაღლობზე სცხოვრობს, იქ სადაც  
გერბეინ გასდებს დირუსა;  
არავის ებრძვის, თვითონავი  
გაურბის მონადირეს.

—  
არ მიიგარებს, წმინდაა,  
არც მტევნსა და არც ტალასსა.  
ამბობენ: შერთხი \*) უმსადებს  
ხან და ხან რადაც ბალასსა.



—  
სამაგიეროდ თვითონაც  
მოედის მისგან ნავალისა

\*) ფრინველია.

და მიტომ დასდევს კვალ და კვალ,  
აღარ აძორებს მას თვალსა.



რომ დაიძინებს, მახლობლად  
შურთსი დადგება მცველადა  
და, მონადირე თუ ნახა,  
კიფილს დაიწევს ხელადა.

მონადირისგან ქს სიტყვა  
მე ბევრჯელ გამიგონია  
და კიდეც მჯერა!.. ბუნების  
მოთხოვნილება მკონია.

სცხოფრობს ამ გვარად მაღლობზე  
ლადი და შეუპოვარი;  
კლდებზე კლდიდან მხრომარე,  
ბალანსულახის მმოვარი...

მაგრამ სან და სან სიფრთხილეც  
ვერ შევლის ფრთხილად მეოფელსა  
და მონადირე მისარვით  
გამოათხოვებს სოფელსა!..

სელში ჩაიგდებს ნუკრებსაც;  
მთიდან ჩამოჰქმდას ბარადა  
და გასაუიდად საბრალოს  
დაბორევს კარის-კარადა.

კრთი შეც მუგანდა ამგეგარად  
ნაუიდი, მონოვებული.

მოძინაურდა, მაგრამ-კი  
სხვა გვარ უცემდა მას გული:

სულ სახლის თავზე დახტოდა,  
ეტანებოდა მაღლობსა;  
ძირს ძვირად ჩამოდიოდა,  
არ მიექარა დაბლობსა;

არ მიექნებდა სახურავს,  
სულ ამიერა ეძებრი.  
ის იქო მისი ხელობა...  
მისი სიმართლის ჯავარი!..

მთასკე წაგვეარე მთის შვილი,  
შეუდგა კლდესა მაღალსა,  
და მე მარტოკა დავბრუნდი,  
მაღლი შევწირე უფალსა.

აკაკი.





# პურ-პური.

(თარგმანი).



ოფლივით თეთრ სარეცელზედ იწვა  
ფერ-მისდილი ბავშვი. სიცხისაგან  
დაზრდილი თვალები დაქინებით სა-  
ითღაც დაემტერებინა სივრცისათვის.

იქნე ლოგინთან ავად მეოფის დედა ძლივს იმაგრებდა მწარე  
ქეითინს, გამწარებული მამა-კი გიფივით დასცემოდა თავისს  
ჩატარა ბიჭიდებს.

ვიწრო ოთახი, საღაც სიკვდილის პირად იწვა პატარა  
ფრანსუა, განხთებული იუო მხის სხივებით. ფრანსუა სელო-  
სან ეაკისა და მაღლენა ლეგრანების შვილი იუო. ამ სამის  
კვირის წინად თეთრ-თავა შვიდის წლის ფრანსუა მოელა  
სახლს ახარებდა და ცელქი, ცოცხალი ბავშვი განუწევეტლია,  
ჩიტივით ჟრეჟიტებდა. ეხლაუკი ციებით იუო ავად: ერთს სა-  
ღამოს რომ სკოლიდან მოიგანეს, სამინელი სიცხე ჰქონდა;  
თავი სტეიოდა, პირი და ტუხები ეწვოდა. ამის შემდეგ ლო-  
გინიდან ადარ ამდგარა. ზოგჯერ, სიცხის დროს, დაინახავ-  
და თუ არა თავის გაპრიალებულს ფეხთსაცმელებს, წაილაპა-  
რაკებდა სოლმე პატარა:

— გადაეცარეთ პატარია ფრანსესას ფეხთსაცმელები; პატარია ფრანსესა თავისს დღეში ვეღარ წავა სკოლაში.

— ადამ გაჩუქრდები? — უკვიროდა მაძინ მამა, დედას-კი ფერი ეცვლებოდა და ჩუმის ქვითინით მიიბრუნებდა სოლმე სახეს, რომ ბავშვს ცოტლები არ დაეწახა.

ამ საღამოს ბავშვი დამშვიდდა, მაგრამ ექიმს არ ახარებდა ეს დამშვიდება. ბავშვი იწვა გაუნძრევლად, გაჩუქრებული. მიმქრალი, უსიცოცხლო თვალები ერთის წერტილისთვის მიუქრებინა. გეგონებოდათ, სიცოცხლე მოსწეუნდა ამ პატარია არსებისა და ქვეყანაზედ აღარაცერს არ შეუძლიან მიიჩიდოს ცმისი უკრადღებათ.

— არ იცოცხლები! არ იცოცხლები! — სასოწარ კუთილებით ფიქრობდა მადლენა.

— როგორმე უნდა გამოიევანოთ ამ მდგომარეობიდან, — ამბობდა ექიმი. — თქვენ, მშობლებს, უფრო კარგად გმცოდინებათ მაგის სასიათი. მოიგონეთ, მოიფიქრეთ რამე, რითიც შეიძლებოდეს ბავშვის გამოცოცხლება.

სთქვა ესა და წავიდა.

— მოიგონეთ!..

რასაკვირველია, იციან საწელებმა ფრანსესას სასიათი; იციან, რომ ფრანსესას უევარდა კვირაობით ქალაქ გარედ სუირნობა, უვაკილებისა და ბალაზების კრეფა. დაბრუნებისას მამა შეარწყედ შეისვამდა სოლმე მოლად უვაკილებით მორთულს თავის ბიჭიკოსა და ასე შემოდიოდნენ პარიზში. უკვარდა ფრანსესას ცირკში სიარულიც. რა გელიანად კისკისებდა მომრავ ტიკინების თამაშობაზე ან სასაცლო მასხარას პრანჭება-გრეხაზე.

ქან ლეგრანმა უეიდა თავისს ბიჭს ათასნაირი სურათები, კალის სალფათები; გაუძლიდა სოლმე სათამაშოებს საბანზე

და ცრემლებისა გან აკანკალებულის ხმით სცდილობდა გაემ-  
სიარულებინა და გაერთო ბავშვი.

— აბა, უეურე! ეს ჩატესილი ხიდია. ტრამ-ტრამ-ტრამ!  
გენერალი მოდის. გახსიოვს, ერთხელ მე და შენ სწორედ ამის-  
თანა გენერალი ვნახეთ ბულიონის ტქები? თუ შენ ეხლა წა-  
მალს დაჭლევ, მაძინ მე ნამდვილს გენერალს გიუიდი; მშვენი-  
ერი მუნდირი კცმევა, ოქროს ეპოლეტები. მითხარი, გენაც-  
გალე, გინდა გენერალი?

— არა, — უბასუსა სიცხისაგან გახრინწიანებულის ხმით  
ბავშვმა.

— იქნება დამბახა გინდა, შვილდისარი, თოფი?

— არა! — იმეორებდა ისევ მკაცრი, დაუნდობელი ხმა.

მივიდა ერთხელ გამწერებული დედა ისლოს და უერძი  
უჩურნებულა.

— რა გინდა, ჩემთ საუგარელო ფრანსუა? უთხარი დედა-  
შენს. ხომ გენდომება რამე?

მაძინ ბავშვმა წამოიწია, გაუშვირა რაღასაც ხელები და  
ოდნავ გაცოცხლებულის ხმით წამოიმახა:

— მე მინდა ბუმ-ბუმი!

## II.

ბუმ-ბუმ? გაკვირვებით შეჭედა საწეალმა მაღლენამ ქმარ-  
სა. რას ამბობს ბავშვი? ნუ-თუ ისევ დაუბრუნდა ის საშინელი  
ბოდეა? ბუმ-ბუმ?

ბავშვი-კი ისევ ერთია და იმავე სიტუაციას იმეორებდა:

— ჰო? ბუმ-ბუმი, მე მინდა ბუმ-ბუმი!

შეძინებულმა დედამ ხელი სტაცა ქაქსა.

— რასა ჟიმბავეს, ეა? რა ამბავია?

ხელოსნის გაუვითლებულს სახეზედ-კი ეხლა პირველად  
გამოაშექა ღიმილმა. ბუმ-ბუმ! ეხლა-კი მოაგონდა ქაქს ის

დიღა, როდესაც ჰატარა ფრანსუა ცირკში წაიკვანა. თოთქოს  
მოქმედ კიდეც ურანსუას მსიარული სიცილი, როდესაც იცია  
ნაზე გამოვიდა შეკვერერი მასხარა. მასხარას შავი საკვერდის  
განიერი ტანისამოსი ეცვა, ბუზენტებითა და კებბა წითელ  
პეტელით მორთულია. რას არა სჩადიოდა? სან ფეხს გამოსდება  
და სოლმე მეჯინიბეს და მუა სცენაზე გადაკოტრიალებდა,  
სან აიძვერდა მაღლა ფეხებსა და მარტო სელების შემწეობით  
დადიოდა, სან კიდევ აისკრიდა მაღლა ქუდებსა და თავით  
იჭერდა. ეოველი ახალი სუმრობის შემდევ მასხარა შესძახება  
და სოლმე: ბუმ-ბუმ! ბუმ-ბუმ! გამოვიდოდა თუ არა ბუმ-ბუ-  
მი, მთელი ცირკი ერთხმიება ევიროდა „გამაო!“ და ჰატარა  
ფრანსუაც მსიარულად ხარხარებდა. ბუმ-ბუმ! აი, სწორედ ამ  
ბუმ-ბუმის ნახვა უნდოდა ურანსუას, მაგრამ როგორა ჭიახავ-  
და ბვადმეოუი.

სადამოთი ქაქ ლეგრანშა ბაგძეს სათამაშო მასხარა მოუტა-  
ნა ზიზილ-პიპილებით აჭრელებული, რომელშიც იმან თავისი  
ოთხის დღის ნამუშევარი მისცა. ქაკი ამას არა სწუხდა; ოდონდ  
თავისი ძვირფასი ფრანსუა გაცინებული დაენახა და მთელის  
წლის ნამუშევარსაც-კი არ დაიშურებდა.

ბაგძემა ოდნავ შეჭედა სათამაშოსა და ნაღვლიანიდ წარ-  
მოსთქვა:

— ეს ბუმ-ბუმი არ არის!.. მე ბუმ-ბუმის ნახვა მინდა.

ნეტა-კი შეიძლებოდეს ავადმეოუის საბანში გახვევა და  
ცირკში წაევანა, მაგრამ ეკვე უფრო ქარგი მოიგონა. წავი-  
და ცირკში, შეიტუო მასხარას ადრესი და გაუბედვად ბვიდა  
კიბუზე.

ქაკი შევიდა ბან მორენოს კაბინეტში. ოთახი სავსე იუთ  
წიგნებითა და სხვადასხვა სურათებით. თვითონ სახლის ჰატ-  
რონიც სრულებით არა ჰქავდა ცირკის მასხარას. ქაკის წინ  
იდგა მოხდენილი, ლამაზი შეახნის გაცი.

ქავი კრძალვით შესცეკროდა სახლის პატონს, ბღარ დცა  
და, როგორ დაწერ, ან რა ეთქვა. ბოლოს მაინც მომართებულის,  
და ბოლიმი მოიხადა.

— ცოტა სხვანაირი სათხოვარი მაქვს,—ეუბნებოდა იგი,  
— მაგრამ იმედია, ბ. მორენო მაჲატიებს... ჩემს პატარი ბიჭუ  
ზე ვლაპარაკობ. მალიან კარგი ბავშვია, ბატონო, მასთან  
ჰქმიდანი, კლასში ერველთვის პირველი იქთ... ცოტა ანგარი-  
ძი უმნელდებოდა. ახლა—აფად არის.. რას არ მოიგონებს  
სოლმე?.. წარმოიდგინეთ, ახლა მოინდომა...

ქავი გაჩემდა, გაწითლდა, მაგრამ მოიკრიბა ისევ მალ-  
ონე და წაილაპარაქ:

— აი, მაგალითად, საშინლად უნდა თქვენი ნახვა. მარ-  
ტო თქვენზე-და ფიქრობს.

გაჩემდა მამა, ოფლი ნელა ჩამოიწმინდა შუბლიდან. რას  
მტევის ბუმ-ბუმი? რომ გააგდოს ან გიგად ჩასოფალოს?

— სადა სცხოვრობთ?—ჰქითხა ბუმ-ბუმმა.

— აქვე ახლოს.

— მალიან კარგი. ჰნახავს თქვენი ბუჭიკო ბუმ-ბუმმა!

### III.

შევიდნენ თუ არა ოთახში, ქაქ ლეგრანმა მნიშვნელად და-  
უბახა შეიღლა:

— გისაროდეს, ფრანსუა, ბუმ-ბუმი მოვიდა.

სისარულის ნათელი დაადგა ბავშვის სახეს. დედის შემ-  
წეობით წამოკდა ლოგინში და დაკვირვებით ჩაცეკრდა უც-  
ნობ კაცსა, რომელიც იმის მამის გეგერდზე იდგა და ალერ-  
სიანის ღიმილით შესცეკროდა მას. მერე ნელა, ნაღვლიანად  
დაუშვა თავი ბალიშზე და ისევ უაზროდ დაუწერ ცერა ბერ-  
ლის ერთ წერტილს, თითქოს იქ, კედლის გარეთ, თავისი

მშენიერი ლურჯი თვალებით ჰქედავდა ფრანსესა საეგარენს  
ბუმ-ბუმსა.

— არა! — სთქეა ბავშვმა, — არა, ეს ბუმ-ბუმი არ არის.

მასხარა სიუვარულით შესცეკროდა ავადმეოვს, მერე გაი-  
ქნია თავი, შესხედა გაფითორებულს დედ-მამასა და ღიმილითა  
სთქა:

— ფრანსესა მართალს ამბობს, აქ ბუმ-ბუმი არ არის და  
გავიდა ოთანიდანა.

— კედარა ენახავ ბუმ-ბუმსა, თავისს დღემი კედარა ენა-  
ხავ, — ამბობდა ლავრით პატარა ფრანსესა.

ჯერ ნახევარ საბთიც არ გახულიერ მასხარას წასკლის  
შემდეგ, რომ უცბად კარი გაიღო და ოთახში შემოვიდა მავს, განიერს ტანისამოსი გამოწეობილი, ბუზქენტებით მორთუ-  
ლი, უჭირლიში გაგანგლელი ნამდვილი ბუმ-ბუმი, სალსის სა-  
ეგარელი და პატარა ფრანსესა ბუმ-ბუმი! ბავშვი იჯდა ლო-  
გინში, გაბრწეინვებულის თვალებით შესცეკროდა მასხარას,  
სარსარებდა, უკრავდა ტაშს თავის გამხდარი სელებითა და  
მსიარელად ევიროდა:

— აი, ენდა ნამდვილი ბუმ-ბუმია! ახლა-კი სწორედ ის  
არის! გაძა, ბუმ-ბუმ! გამარჯობა, ბუმ-ბუმ!

#### IV.

ცოტა სის შემდეგ ექიმი შემოვიდა. ფრანსესას ლოგინ-  
თან იჯდა მასხარა და რაღაცა წამალს ამზადებდა, თან ეუბ-  
ნებოდა:

— იცი, ფრანსესა, თუ ამას არ დაჭლევ, ბუმ-ბუმი აღარ  
მოვა შენთანა.

და ბავშვიც ჰსეგამდა წამალსა.

— გემრიელია, არა?



— მაღიან გემრიელია!.. გმადლობ, ბუმ-ბუმ!

— კი არ გქეინოთ, ექიმო, მაგრამ უნდა გთხოვთ, რომ  
თქვენს წამლებზე ნაკლებ არც ჩემი სუმრობა ჰქობს აფად-  
მეოფხა.

სანძმ ჰატარა ფრანსესა ფეხზე არ წამოდგა, კოველ დღე  
ჩერდებოდა ქმრი სელოსან უა ლეგრანის სახლთანა და იქთ-  
დან გადმოდიოდა გრძელ ჰალტოიანი, მხიარული და მორთუ-  
ლი ქაცი.

— რამდენი უნდა მოგართვათ, — ჰყითხა ქაქმა, როდესაც  
ფრანსესა ჰირველად გამოვიდა სასერნიოდ.

— მეგობრულად ჩამოგართვათ ქოთმანეთს ხელი, — სთქვა  
ბუმ-ბუმმა.

მერე აიუვანა ფრანსესა, აკოდა წითელ ლოუებზე და სი-  
ცილით დაუმატა:

— ნება მომეცით ჩემს სადარიბაზო ბარათებზე დავბეჭდო:  
ბუმ-ბუმი, ექიმი ჯამბაზა, ჰატარა ფრანსესას ლეიი-მედიკი.

თ. ლომაური.





# ოქროს ქათამი.

(ხილოური ზღაპარი).

(ზაგრძელება)



ეგრი იარა თუ ცოტა; შეჭნედ გ ზამი ოთხს  
კაცსა, რომლებსაც საძინელი ლაპარაგი და  
წეუბი ჰქონდათ. არ უნდოდა უმაწვილის სი-  
ყართვი განვეულიშვილ და გ ზა აუქცია, მაგრამ  
აკი მოჟერეს თვალი. დაინახეს თუ არა ამ კაცებმა უმაწვი-  
ლი, გაუხარდათ მალიანა და იყიქრეს: მოდი, უმაწვილი მო-  
ვიუვანოთ და რაც იმანა სოქვას, ეაბულს ვიუვნეთო. გაგ ზავ-  
ნეს ერთი ამსახავი უმაწვილის მოსავანდადა, მაგრამ უმაწვილს  
უფრო შეეძინდა და არ მოსდევდა. როგორც იქო ბოლოს და  
არწმუნა კაცება, რომ არავერს დაგიშავებოთ, და წაჲევა. მიი-  
უბნეს და აუხსნეს, ოთხი რამა გვაქს გასტური, რამდენი  
ხანია დავაძი გართ და ვერ გავითევდა; გვიუავ წეალობა, გა-  
ბვიუბვი და როგორც გაჲეოვ, დავეაბულდებითო. მაძინ უმა-  
წვილმა უთხრა: გაეოვა ბეჭილიან, მაგრამ უნდა ვიცოდე, რა  
არის გასაეოვი, ან რა ძალა. ძქვს თვითეულებათ. ეს ოთხი  
რამე იქო: სალიანა, სუფრა, ქუდი და ჯოხი. მოიწონეს უმა-  
წვილის აზრი და გააგებინეს, რომელს იმათვანს რა ძალა

ჰქონდა: სალისა ისეთი არის, რომ დაჭვე უედა და უბრძანს,  
წაგიუვანს, საცა მოისურვებო; სუფრაზედ კიდევ, რთუნდეს სუმა  
ლსა და გულსა, რა არ გახნდება. ქუდი რომ დაისურო, არა  
ვინ დაგინახავს; კოსს კიდევ ის მაღა აქვს, რომ, სურვილი-  
სამებრ, რათაც გინდა, აქცევს, კინაც შემოჰკრავო.

ემაშვილმა რომ გაიგო იმ ნივთების მაღა, გულძი გაი-  
ხარა და სთქვა: დმერთო, ძძისი პატრონი გამსაღე და მეტი  
არაფერი მინდაო! მაშინ უთხრა მათ ემაშვილმა:



— მომეცით თქმენი შეიღებასარი, თქმენ დადექით ერ-  
თად; როცა გავისროლო ისარი, გაიქცით; ვინც პირველი მა-  
ვა, ის სალისას მიიღებს, მეორე — სუფრას, მესამე — ქადს, მე-  
ოთხე — კოსსა.

ემაწვილის გარდაწევეტილება ძლიერ მოიწონეს, ბილ ჩვენმა მეფისის შეილმა შეილდი, მოზიდა, რაც ძლიერდა კუთხა ნე ჰქონდა და გაისროლა. ოთხივე მოზავენი ერთად გაიქცენ.

დაბროვა მაძინ ემაწვილმა, რაც იქ იუო, ხალიჩაზე, თითონაც ზედ დაჯდა და უბრძანა, ხელმწიფის სასახლის ბანზე მიფრინილიყო. დაიძრა მაძინვე ხალიჩა, მსწრაფლ გაფრინდა და ხელმწიფის სასახლის ბანზე დაეძვა. ემაწვილმა გაძალა სუფრა და დაიწეო ქეიფი. შეიტეო ემაწვილის მოსვლა ხელ მწიფის ქალმაცა და თავისის გამდლით ბანზე ავიდა. ემაწვილმა რომ ქალი დაინახა, მიიპარიება; გამდევლმა გააფრთხილა: არ მიხვიდე, თორებ მოგიტაცებსთ და გააგებინა მაღა იმ თონის ნივთისა, რომლებიც ემაწვილსა ჰქონდა. ღეღდკაცმა კაშლაფერი იცოდა, კუდიანი იუო. მაგრამ ქალმა არ დაუკარა, მივიდა და შესდგა ფეხი ხალიჩაზედა. უბრძანა მაძინ ემაწვილმა ხალიჩასა, შეფრინდა და მიიუვანა ერთს კუნძულზედ, რომ ქლზედაც ერთი ღადი სე იდგა, პირდაპირ ხმელეთზე-კი მეორე. აქ ემაწვილმა საჭედურით მიჰმართა ქალსა:

— მე უდმერთოვ, რაც ოქტო მქონდა, შენ მოგეცი და შენ-კი აგრე უსინიდისოდ მომექეცი: წამხრთვი კუჭი და პურას ფულიც არ შემარჩინე.

— განა არ ვიცოდი შენი ხალიჩის მაღა. გამდევლმა უკალაფერი მითხრა, მაგრამ იმიტომ მოგედი, რომ შენი სიცვარელი მქონდა, ერთი არ არის, მე მექნება ის კუჭი, თუ შენაო“. მაგრამ სინმ ვიქორწინებდეთ, ჩადი, წებლი გაიბანეთ. ემაწვილმა სიხარულით მიიღო ქალის წინაღადება, გაისადა ტანთა, შევიდა წებლი და ბანება დაიწეო. სინმ ემაწვილი ბანთაბას მორჩებოდა, ქალმა დააწეო მისი ტანისამოსი ხალიჩაზე, აგრეთხე სუფრა, ქედი და ჯოხიც, დაჯდა თითონაც ზედა და უბრძანა, თავის სასახლეში მიუვანა. რაღა თქმა უნდა, ხალიჩაც დაემორჩილა მისს ბრძანებასა, შეფრინდა იმავ

წამსა და გასწია სასახლისაკენა. ემაწვილმა რომ გაფრენილი  
საღისა დაინახა, გამოვარდა წელიდანა და დაუწეო შახალია.



და ვედრება, სად მისვალ, ნუ დამღუპავო, მაგრამ ვეღარა გა-  
აწეოარა, ქალი გაფრინდა, ვაჟიაკი დარჩა ტიტელი, დედი-მო-  
ბილა.

ემაწვილმა ტირილი დაიწუო: მძიურ-მწერვალსა და ბის-  
კელს არსადან უჩანდა შეელა იმდენი იტირა, რომ მოლენის  
ორთავე თვალით დაბრმავდა; ცალკე შიმშილი აწუხებდა, ცალ-  
კე სიცივე; ზედ ახლა უსინათლობაც დაერთო. ამ ღრის მო-  
ფრინდა საიდანდაც ორი მტრედი და შესხდნენ სწორედ იმ ხე-  
ზედ, რომელიც გუნმულზედ იდგა; ერთმა იმათვანმა მეორეს  
საცოდვი ემაწვილი უჩენა და უამბო მთელი მისი თავიადა-  
სავალი,—როგორ უწეალოდ მოუქცა სელმწიფის ქალი. შაებ-  
რალა მეორე მტრედს საცოდვი ემაწვილი და სთქვა: „მე აკ-  
ფრინდები და ერთს ბუმბულს დავაგდებ მიწაზედ; ის ბუმბული  
რომ მოისეას თვალებზედ, სინათლე დაუბრუნდება და ბუმბუ-  
ლიც წამლად გახდება არამც თუ მარტო მაგისთვის, არამედ  
ეპელა ბრძა კაცისა და ცხოველისათვისთ“. — „რაკი შენ მაგ სი-  
კეთეს უზამ,—სთქვა პირველმა მტრედმა, — მეც მაძინვე ქარი-  
შალს ავაეცნებ, რომ ეს ხე გადაეჭვიოს მეორეს, რომელიც  
სმელეთის ნაპირსა სდგას; ემაწვილი ავა ხეზედა და გადავა  
მეორეზე და წავა, საცა მოინდომებით“.

მთელი ეს ლაპარაკი მკაფიოდ ესმოდა ემაწვილსა და  
მტრედები რომ გაფრინდნენ, დაიწუო ქვიშაზედ ბუმბულის ძე-  
ბნა. მალე მართლაც იპოვნა ბუმბული, წაისვა თვალებზე და  
ფიცხლავ არივე თვალი გაახილა. ცოტა სხის შემდეგი ად-  
გა ისეთი სხძინელი ქარიშალი, რომ აქეთური ხე მთლად  
იქითურს გადაეჭვია; ემაწვილი მაძინვე ხეზედ ავიდა და კუ-  
მულიდამ მეორე სით სმელეთზედ გადავიდა. ჩადგა ქარიშალი  
და ემაწვილიც მის ჩამოვიდა, მაგრამ სიმშილისაგან სიარუ-  
ლის არაქათი აღარა ჰქონდა, ბარბაცებდა.

როგორც იქო, გაიარა მინდორი და შემოექარა ერთს ბრძა  
მენახირე ბიჭსა. ემაწვილმა უთხრა: მაგ ბრძა თვალს მოვირ-  
ჩენ, ოღონდ ცოტა პური მაჭამე; აკერ, ათი დღეა, შეიერი  
გარო.



ბაა, მომარჩინეთ! — გაუხარდა ბიჭისა.

ემაწვილმა ბუმბული წაუსვა თვალზე და ფიცხლავ მოარჩინა.

— ერთი ბრძა კამეჩიცა მეავს, ისიც მომირჩინეთ, და მაშინ გაფტევ ჰურსაო, — დაუმატა ბიჭისა.

ემაწვილმა კამეჩიცა მოარჩინა. ბიჭამა მაშინ მენასირებ ჰური, იმ ღამეს სახლძი წაიქვანა და უთხრა შინაურებსა, ეს ემაწვილი ბრძების ექიმია, აი როგორ მომარჩინა მეცა და წემი კამეჩიცაო.

მაღლობის ნიშნად იმ ღამესვე უშოთეს ტანისამოსი და ჩაცვეს. სამავიეროდ ემაწვილმა მოარჩინა უკელა, რაც-კი სოფლები ბრძა კაცი და საქონელი იყო. ამ სოფლიდან ახლა მეორები გადავიდა; იქვე უკელების ძლევაც დაუწეს. სოფლიდან ქალაქში გადავიდა და ბრძების ქიმობა დაიწეო. რა ბრძაც-კი მოუკეპანეს, უკელა მოარჩინა იმ მტრედის ბუმბულის ძალით. იქმდის გაითქვა სახელი, რომ დიდი თუ პატარა უკელა სცნობდა, არამც თუ მარტო იმ სახელმწიფოში, რომელშია ც თითონ სცნოვრობდა, არამედ სხვაგანაც. რადა თქმა უნდა, სცნობდა მას თვითონ სელმწიფეც.

\* \* \*

კუდიანს გამდევს ძლიერ გაუხარდა სელმწიფის ქალის დაბრუნება და თან ემაწვილის ნივთების მოტანა, მაგრამ სანგრძლივი არ იყო მისი სიხარული: მოკვდა მალე და სელმწიფის ქალიც მწარედ იგლოვდა; დღე და ღამ ქალი მდედარე ცრუმლით სტიროდა თავისი გამდლის დაკარგებას და ბოლოს კიდეც დაბრძანდა ორთავ თვალითა; ბევრი ინაღვლა და ბევრს კცადა სელმწიფე, მაგრამ ქალი ვერ მოარჩინა; ქიმება სელი აიღეს. ბოლოს მოასხენეს სელმწიფესა, რომ ამ და ამ სახელმწიფოში სცნოვრობს ერთი ექიმი, რომელიც არამც-

თუ უსინათლო ადამიანის შვილებსა, ბრძა საქონელსაცავი არ ჩენსო. გაუხარდა, რასაკეირველია, სელმწიფესა და მაძინველი გაუგზავნა წერილი იმ სელმწიფეს, რომლის საბრძანებელმაც უკიდი სცხოვრობდა. წერილით სთხოვდა სელმწიფე, რომ უქიმი გამოეგზავნა ქალის მოსარჩენადა და დიდს წეაღობასა ჰქონდებოდა. მიღოთ თუ არა სელმწიფემ ეს წერილი, მაშინა თვის გაუგზავნა უქიმი.

ცოტა იარა თუ ბეჭრი, მივთვა ჩენი უქიმი იმ ქალის მასთანა და თავის სელმწიფეს წერილი მიართვა. სელმწიფეს, რა თქმა უნდა, ძლიერ გაუხარდა უქიმის მიხელა, მიუალერსა და დიდ-ძალს უულს დაჰქონდა, ოდონდ ქალი მორჩენილიერ. მაგრამ უმაწვილს უულის სისარბე არა ჰქონდა, თავისი კუჭის დარღი აწუხებდა, იქნება როგორმე დავიბრუნოვო; გასინჯა უმაწვილმა ქალი და დაჰქონდა, მოუგარჩენ და მეოთხე დღეს თვალებ ასილულს ჩაგაბარებო, მაგრამ ერთის პირობით, თუ სამი დღე და დამე მოელი ქალაქის უკელა დუქან-ბაზარი და თვით სასახლეც სრულიად დაკეტილი იქნება; არა კაცი კარგედ არ გამოვათ. სელმწიფემ უბასუსა: ოდონდ ქალი მომირინე და მეტსაც დაგაბირდებოთ.

მაძინ სელმწიფემ ბრძანება გასცა, რომ ერთის დღის გან-მავლობაში უკელას მოემზადებინა სამი დღის სამუოფი სურ-სათი და შემდეგ მოლაპდ ჩაგეტილიერენებ თავ-თავიანთ სახლებ-ში. დაიკეტა თუ არა დუქან-ბაზარი და სასახლები, მივიდა უქი-მი სელმწიფეის ქალთან, გამოიეგნა სასახლიდანა და უთხრა, წადი წეაღლი გაიბანეთ. ქალმა რომ ტანთ დაიწეო სდა, ვაკ-მა მხოლოდ მაძინ გამოუცხადა თავისი ვინაობა. ქალმა ღრია-ბლი მორთოთ და სკენნა დაუწეო, რომ ეპარიებინა, მაგრამ უმაწვილი შეუბრძლებელი გამოდგა. გამოჰქითხა ქალს, სადა ჰქონდა შენასული იმისი ნივთები, წავიდა სასახლები, გაა-ღო ქალის ოთახი და გამოიტანა. ნივთები სელ-უხლეუბელი

დაუხვდა. მოვიდა ისევ ქალოთანა და ასლა კუჭი მოსირება, მაგრამ ქალი შევეღრია: რაც მომივიდა, შენის ცოდნით მომივიდა, ესლა გთხოვ მაპატიო და სიკვდილამდის შენი მორჩილი ვიქებიო. უმაწვილმა უბასუსა: იქ, ოთხ წეალს შეაც, ასე მარწმუნებდი, მაგრამ შენი ჰატიოსნობა და სელმწიფის ქალობა იმითი დაამტკიცე, რომ შიძველი და მშიერი დამაკდე ოთხ წეალ შეაო. უმაწვილმა ქალი დასება, თვითონ-კა, როგორც უონი, უქან-უქან წავიდა, დაეძერა და ისეთი წისლი ჰქონა, რომ ქალს იქვე ასაქმა და გადმოაკდებინა კუჭი, რომელიც ვაემა გადაეჭლანა. აიღო მერე ჯონი, შემოჰქონა ქალსა და მისმასა: ვირბდ იქეციო! ქალი მაშინვე ვირბდ იქცა. დაადგა უმაწვილმა კურტანი, შემოახტა ზედა და სამი დღის განმავლობაში სას ერთ ქუჩაზე არბეინა, სან მეორეზე. აბა, ვინ რას დაინასაკდა, როცა ქუჩაში არავინ იუო?! მეოთხე დღეს-კი გამოვიდა სახედრით იმ ქალაქიდანა და სხვაგან წავიდა.

დათ. კილოსანიძე.

(დასასრული იქნება)





## ბეოგრაფიული ცნობანი.

(თარგმანი ინგლისურით)

(გაფრანგულება).

კომპასი ანუ უიბლანა ჰლვაში მოსიარულეთათვის.

როდესაც ჩაის შემდეგ ჩვენი მეცნიერები ბუხარს შემოუსწონენ, კილლიმ დაიწეო: — ზღვები, ბიძიავ, როგორ იგნიერენ გზასა? შეესა და ვარსკვლავებს უკურებთ სოლმე?

— სძირად იმულებული ვეოფილვართ — აბრეც მოგეცხულია გვით, რომ უკეთ გაგვავლია გზა; მაგრამ, მაგარი ის არის, რომ ბევრჯერ არც მხე და არც ვარსკვლავები არ სხან სოლმე ცამი, — მიუკო ბიძია ბობმა.

— მე-კი ეგ ფიქრადაც არ მომსკლია, — სთქებ კილლიმ. — მერე, მამ, როგორდა გადიგვლევთ სოლმე, ბიძია, გზასა? როგორ გადიგებთ სოლმე, საით მისცურავთ?

— ამას, — უბასეუსა ბიძია ბობმა, — ახლავე აკისხნით, — და უბიდას რაღაცა პატარა კოლოფი ამოიღო. აბა მეჭედეთ ამასა.

ბიძიამ კოლოფს სუფი აჭარად, ბავშვებმა შიგ რაღაცა საბათის მინაგვარი ნივთი დაინახეს.

— საბათია ეს, ბიძიავ? — იკითხსა კილლიმი.

— არა, შეიღო, — მიუკო ბიძია ბობმა. — ეს არის ეიბლანა სანუ კომპასი და რაღაცანაც ამას სძირობენ უფრო სძირად ხდებასი გამოცდილი მოსიარულენი, ამას



გამო მას „ზღვაში გამოცდილ მოსიარულეთა კომისასის უფრო დებენ.

— მერე რაძია ებე გამოსადები? დოოს აჩვენებს? — იკითხა ვიღლლიმ.

— არა, — მიუგო ბიძია ბობმა, — ეს სულ სხვა რამეს გვიჩვენებს, — გვიჩვენებს ოთხს უმთავრესს წერტილსა და გზას, რომელსაც ვაღგევართ.

— მერე რა ნაირად გვიჩვენებს? — იკითხა ტომმა.

— აკისხნით ამასაც, — უპასუხა ბიძია ბობმა. — აბა დააკვირა დით ასოებს, რომლებიც კომისასის ფიცრის გარეშემო სხედან: ჩ, ს, ა, დ.

— მერე, იცით ამ ასოებს რა მნიშვნელობა აქვთ?

— დიახ, მალიან კარგად, წამოიძახა ვიღლლიმ. — აქ ჩ.ა და ჩ.დ ქიმინავს ჩრდილოეთ-აღმოსავლეთს და ჩრდილოეთ-დასავლეთს. აქ კიდევ სხვა ბევრი ასოები არის.

— კარგი და ჰატიოსანი, — სთქმა ბიძია ბობმა. — აი, ისარი ანუ მაჩვენებელი, რომელიც ადვილად სრიალებს ქინმისათვის წევრზედ და რომელსაც ვუწოდებთ მაგნიტს (ანდამატი). გინახავსთ ოდენტე მაგნიტი?

— როგორ არა, — მიუგო ტომმა. — ჩვენს ბიძაშვილს იაკობსა აქვს, ნალსა ჭერავს. ნემსებსა და ლურსმებს იზიდავს ხოლმე მაღლა. მიუახლოვებს იაკობი მაგნიტს ლურსმებს ანუ ნემსებსა და ისინიც მიეკობიან ხოლმე.


— სწორედ აგრეა, — უპასუხა ბიძია ბობმა. — ეკ ისარი მაგნიტისა. გასაკეირველი ის არის მარტო, რომ მაგნიტის ისარი უოველოვის ჩრდილოეთის მხარეს გვიჩვენებს. აბა, დააკვირდით: ქსლაც, ბეტრ, გვიჩვენებს სწორედ ბოსლის ანუ უკრძალის ჩრდილოეთის მხარეს.

— მართლა რომ ეს უოველია, — დაეთანხმნენ ბაკმები.

— რაც უნდა გატრიბული ით სელმი კომპანიი, — განვიტორი, მია ბობშა, — მუქარესით, მექანიზმით, მანიც ერველოვის ჩრდილოეთის კენება ბოლოთ და მასთან ერთად კომპანიის ფიცარიც.

— საკვირველია სწორედ, საკვირველი! — წამოიძახა ვიღლიძე.

— მართლაც რომ საკვირველია, — სოჭვა ბიძა ბობშა. ასე ლა სომ დარწმუნდით, რა სასარგებლოა კომპანიი. დამე იუს, თუ დღე, წვიმბა, თუ ნისლი და ბურუსი, გამოცდილს მოგზაურს. სდგამი კომპანიის წესლობით გზა არ აერევა და მშვიდობიად გაივლის, რაც უნდა დიდი მანმილი ედოს წინა.





### გ უ რ თ ა თ ბ ა.

გაიუვანეთ ქრთი მეორისებან თუ და ათ საჭენწედ დაძორებული თრთ ხასი; შეადგინეთ თრთ ჯგუფი და ქრთი ქრთს სახს იქით დააუენეთ, მეორე—მეორეს იქით, ისე რომ ჯგუფები თრს მოპირდაპირე ბანაკს წარმოადგენდნენ. შემდეგ პენჭი ჰეპრეთ, რომელმა ჯგუფმა გაისროლოს პირველად ბურთი; შერუკი რიგ-რიგობით უნდა ისროლოთ ბურთი. რამდენადაც პირველი ჯგუფიდან გამოსროლილი ბურთი ვერ მიაღწევს მეურეების სახამდის, იმდენად უნდა წინ წაიწიონ მეორეებმა. ბურთის გასროლის დროს უნდა ეცადოთ, რომ, რაც შეიძლება, შორს გააგდოთ და მოწინააღმდეგების თავზედ ბაზარებით, რომ ვერ დაიწიროს. ამით პირველი ჯგუფი იძულებული გახდება უკან დაიწიოს; რადგან იქ უნდა დადგეს ჯგუფი, სადაც ბურთს აიღებს, ან დაიჭერს. გამარჯვება იმათი იქმნება, უინც პირველად გადაბიჯებს მოწინააღმდეგოთ სახლებრზედ.

დიმ. დეკანოზიშვილი.

### გამოცამის.

- 1) ეპლის პერანგი მაცვია,  
გაფისდი, აშნაური ვარ.  
ქალაქში წავალ საკართველოდ,  
არ ვიცი სადაური ვარ.



- 2) სახლი ვიწრო, კაბლაბი დიდი,  
განძი მისგან დადგებული  
ისე არის დიდებული.
  - 3) აჯანჭალი, მაჯინჭალი,  
ოთხი ფეხით მაბიჭარი,  
მაღლა თივა სათიბავი.
- 

### შ ა რ ა დ მ ბ ი .

(წარმოდგენილი ღირ. ლექანოზიშვილის მიერ).

- 1) უტვინო შინუურს ფრინველს  
ბოლო ასო მოაკელი;  
შემდებ ტებავი მოუმატე,  
რომ გამოვიდეს ცხოველი.  
თუ დამის თევა გინახავს,  
ან სულის შესანდობელი,  
თქმა აღარ უნდა და ბჟობა,  
იქნები გამომცნობელი.
  - 2) პირველს ვიტევით, როდენაც რომ  
გვინდა ვისმე გახუმება,  
მეორეს მცენარება,  
ჭაობებში იძოვება;  
ორივ ერთად, უსაწყილებო,  
აბა, მითხართ, ვინ იქნება?
-

## ს ხ ს ნ ა.



მეთხუთმეტე ნომერში მოთავსებულ შარადისა: ქა+რვა=ქარვა. გამოცანებისა: 1) ქარი, 2) ციცინძთელა.

მეთხესმეტე ნომერში მოთავსებულ გამოცანა ლექსისა: პური; გამოცანებისა: 1) სანთელი, 2) ბროწელი.

მეზოდმეტე ნომერში მოთავსებულ გამოცანა ლექსისა: ღუდოფალა.



